

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #144

ავგისტო-სექტემბერი 2011

ბაჰი (Bah) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - 56328/07
გადაწყვეტილება 27.9.2011 [IV სექცია]

მე-14 მუხლი

დისკრიმინაცია

საიმიგრაციო კონტროლს დაქვემდებარებული მცირეწლოვნის გაუთვალისწინებლობა სოციალურ განსახლებაზე უფლებაზე პრიორიტეტის განსაზღვრისას: *დარღვევას არ ქონდა ადგილი*

ფაქტები - განმცხადებელს, სიერა ლეონეს მოქალაქეს, 2005 წელს გაერთიანებულ სამეფოში შესვლის ნება დართეს. მის მცირეწლოვან ვაჟსაც მისცეს დედასთან ერთად ყოფნის უფლება იმ პირობით, რომ სახელმწიფო დახმარებასთან მიმართებით არ ექნებოდა პრეტენზია. მისი ჩამოსვლიდან მალევე განმცხადებელმა ადგილობრივ ორგანოებს მიმართა თხოვნით, დახმარებოდნენ საცხოვრებლის მოძებნაში, რადგანაც კერძო გამქირავებელმა, ვისთანაც ის იმ დროს იმყოფებოდა, გამოუცხადა, რომ შვილთან ერთად ვერ დარჩებოდა დაქირავებულ ოთახში. ადგილობრივი ორგანოები დასთანხმდნენ დახმარებოდნენ, მაგრამ რადგანაც მისი შვილი საიმიგრაციო კონტროლს ექვემდებარებოდა, უარი უთხრეს პრიორიტეტზე, რომელიც მას, როგორც განზრახვის გარეშე უსახლკაროდ დარჩენილ მცირეწლოვან შვილიან პირს შეიძლება ქონოდა*. თუმცა ეს ორგანო მათ დაეხმარა ქალაქ-გარეთ კერძო სექტორში ბინის მოძიებაში და დაახლოებით ჩვიდმეტი თვის შემდეგ უზრუნველყვეს სოციალური განსახლებით ქალაქის ტერიტორიაზე. არც განმცხადებელი და არც მისი ვაჟი არ ყოფილა უსახლკარო ამ პერიოდში. ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ განაცხადში განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისთვის პრიორიტეტის მინიჭებაზე უარი დისკრიმინაციული იყო.

კანონმდებლობა - მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში: სადავო კანონმდებლობამ რეალურად გავლენა იქონია განმცხადებლისა და მისი ვაჟის საცხოვრებელსა და ოჯახურ ცხოვრებაზე, ვინაიდან მას ცუდი გავლენა ქონდა მათ მიერ საცხოვრებლის მოძიების დახმარების ხელმისაწვდომობაზე, მაშინ როდესაც უსახლკაროდ დარჩენის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ. შესაბამისად საქმის გარემოებები მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში ექცეოდა და მე-14 მუხლიც მოქმედებდა ამ შემთხვევაში.

განმცხადებლის ვაჟს გაერთიანებულ სამეფოში შესვლის უფლება მიენიჭა აშკარად გაცხადებული პირობით, რომ მას არ ექნებოდა წვდომა სახელმწიფო დახმარებაზე. შესაბამისად განმცხადებლის მიმართ განსახლების კანონმდებლობიდან გამომდინარე განსხვავებული მოპყრობა განპირობებული იყო მისი ვაჟის პირობადებული საიმიგრაციო სტატუსით და არა მისი წარმომავლობით. ის ფაქტი, რომ საიმიგრაციო სტატუსი წარმოადგენდა კანონით განსაზღვრულ სტატუსს და არა ადამიანის თანდაყოლილ სტატუსს, არ გამორიცხავდა მას მე-14 მუხლის მიზნებისთვის „სხვა სტატუსის“ კატეგორიიდან. თუმცა, საიმიგრაციო სტატუსში არჩევანის ელემენტის გათვალისწინებით, განსხვავებული მოპყრობისთვის აუცილებელი დასაბუთება ამ საფუძველთან მიმართებით არ იყო ისეთივე წონადი, როგორც განსხვავებისას, რაც ეფუძნება თანდაყოლილ ან განუყოფელ პირად მახასიათებლებს, როგორიც არის სქესი ან რასა. შესაბამისად, ვინაიდან საქმეზე დავის საგანი - საცხოვრებლით უზრუნველყოფა მათთვის ვინც ამას საჭიროებს - მეტწილად სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის იყო, მოპასუხე სახელმწიფოსთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები გაცილებით ფართო იყო.

მწირი სახელმწიფო დახმარების მიღებისთვის, როგორც არის სოციალური განსახლება, კრიტერიუმის დაწესება ლეგიტიმური იყო, ვინაიდან ასეთი კრიტერიუმი არ იყო თვითნებური ან დისკრიმინაციული. განმცხადებლის საჭიროებისთვის პრიორიტეტის მინიჭებაზე უარში არაფერი იყო თვითნებური. იცოდა რა ქვეყანაში შემოსვლის პირობები, გაერთიანებულ სამეფოში თავისი შვილის ჩამოყვანით განმცხადებელი აქტიურად დათანხმდა, არ ქონდა წვდომა სახელმწიფო დახმარებაზე მასთან მიმართებით. გამართლებული იყო განსხვავებული დამოკიდებულება იმათ მიმართ ვისაც ჰქონდა პრიორიტეტული საჭიროების სტატუსი პირისთვის, ვინც გაერთიანებულ სამეფოში უკანონოდ ან იმ პირობით იმყოფებოდა რომ არ ექნებოდა წვდომა სახელმწიფო დახმარებაზე, იმათგან ვისაც არ ქონდა ეს გარემოებები. კანონმდებლობა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ კი მწირი რესურსის სხვადასხვა კატეგორიის მომთხოვნ პირებზე სამართლიანად გადანაწილებას.

არ უგულებელყვია რა განმცხადებლის განცდები რაც მან გამოიარა უსახლკაროდ დარჩენის საფრთხის ქვეშ ყოფნით, სასამართლომ დაადგინა, რომ ის ფაქტიურად არასდროს დარჩენილა უსახლკაროდ და არსებობდა კანონით დადგენილი სხვა ვალდებულებები, რითაც ადგილობრივ ორგანოებს მოეთხოვებოდათ განმცხადებლისა და მისი ვაჟის დახმარება თუკი ისინი უსახლკაროდ დარჩენის რეალური საფრთხის წინაშე დადგებოდნენ. საბოლოო ჯამში მას მოექცნენ ისევე, როგორც მოექცეოდნენ თუკი მის მიმართ დადგინდებოდა პრიორიტეტული საჭიროება: ადგილობრივი ორგანოები დაეხმარნენ მას სხვა გარეუბანში (რადგანაც მათ გარეუბანში ფაქტიურად აღარ იყო ადგილები) კერძო სექტორში ბინის დაქირავებაში და შესთავაზეს სოციალური განსახლება მათსავე გარეუბანში ჩვიდმეტ თვეში. შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობა რასაც განმცხადებელი დაექვემდებარა, იყო გამართლებული და ობიექტური.

დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ერთხმად).

* თავშესაფრისა და იმიგრაციის შესახებ 1996 წლის კანონის 9.2 ნაწილი, რომელიც მოქმედებდა განსახილველ დროს, ადგენდა, რომ საიმიგრაციო კონტროლს დაქვემდებარებული პირები არ უნდა იქნენ მიღებული მხედველობაში როდესაც საცხოვრებელთან დაკავშირებით სხვა ადამიანისთვის პრიორიტეტის მინიჭების საკითხი დაგას.

სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე შეჯამებებისთვის მიჰყევით ბმულს [Case-Law Information Notes](#)

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.